



შაბათი, 20 ივნისი | მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ში № 25 — 1915



**მხატვარი მამა-შვილი**

მოსე თოიძე და შვილი მისი ერეკლე, 12 წლისა.  
 მ. თოიძის ნახატების გამოფენის გამო „ახალი  
 კლუბის“ დარბაზში.

იეიდება

# თეატრი და ცხოვრება

1914 წ.

მთელი წლისა (მე-5-ე ნომრიდან) 4 მ.  
ფასდადებითაც გაიგზავნება. მისამართი:  
Тифлисъ, ред. „Театри да Цховре-  
ბა“ Юс. Имедашвили. (10-1)

მხატვარ მ. თოიძის

# ნახატების გამოფენა

„ახალი კლუბის“ დარბაზში (თეატრის  
ფოიეში) დილით 10 ს.—4 ს., საღა-  
მთი 8—11 ს. ელექტრონის სინათ-  
ლეზე. შესასვლელი ფასი: დიდები იხ-  
დიან 20 კ., პატარები—10 კ.

ს ა ხ ა ლ ხ მ ს ა ხ ლ ი

შაბათს, 20 ივნისს, ქართველ მსახიობთა  
მიერ წარმოდგენილი იქნება

## კონსტანტინე გატონიშვილი

ანუ

# ქეთევან წამებული

ისტორ. დრამა ნ მოქ. აღ. ყაზბეგისა

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ტ. აბაშიძე, ნ. თოიძე,  
მ. ქილაჩიშვილი. ა. ჩარკვიანი; ბ-ნნი: ვ. გუ-  
ნია, ვ. ჩამყრელიძე, ს. სე-მონიძე, დ. მგლოზ-  
ლიშვილი, ი. ჟივიძე, შ. ხონელი, ი. მამფთ-  
რია, პ. ფრანგიშვილი, ნ. ჩაგუნავა, ი. თარა-  
ლაშვილი და სხ.

პირველ მოქმედებაში გაიმართება დღეობა: ტიდაობა.  
ზურნა, ლეკური სიმღერები და სხ.

დასაწყისი საღ. 8 1/2 ს.

რეჟისორი ვალ. გუნია.

გამგე ი. ჟივიძე

გამოდის ორშაბათობით

# „ახალი კვალნი“

გაზეთი ღირს: ერთი წლით 2 მ. და 50 კ.,  
ნახევარი წლით—1. 50 კ., ერთი თვით—20 კ.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქციის ადრესი: Кутаисъ, Типографія  
Перадзе и Карнаухова для „Ахали Кვალი“  
ფულის გამოსაგზავნი: Кутаисъ. Тип.  
Перадзе и Карнаухова. Северіану Нико-  
лаевичу Бахтадзе.

მისკილის  
ზრ. № 131

ხარფუხის საზოგადო კლუბი

საუცხოეთ სასაფხულო რეკლამა, სენით და მსგებრით, ელექტრონით განათებული, ბალი.

შაბათს, 20 ივნისს, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება

# ქართული საზოგადოებას კონსერტი, ორკესტრი

კვირას,  
21 ივნისს:

დასაწყისი საღამოს 8 1/2, საათზე.

შესავალი ფასი: მამაკაცი იხდიან—30 კ., ქალები და სტუდენტები—15 კ.



№ 25

წელიწადი  
მისამდე

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: Тифლისь Ред.-„Театри да Цховреба“ I. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საპირფარეოსამებრ შესწორდება. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 25

შ ა ბ ა თ ი, 20 ი ვ ნ ი ს ი

1915 წ.

20 ი ვ ნ ი ს ი

**ერთი საქმე მაინც თავმოდგმული!**

ცხოვრებაში წარმატებით სიარული მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ყოველი ახალი ნაბიჯი მიზანს გვახლოვებს...

ყანის მკელი საღამოთი სიამაყით გაჰხედავს ხოლმე თავის ნამუშევარსა და ნეტარის გრძობით შეავლებს თვალს დადგმულ ათეულებს... ასევე ვენახის მუშა, სიმინდის მთხნელი და ყოველი ქეშმარიტი მშრომელი, რომელიც ყოველ ხელის გაქნევით ახალ ღირებულებასა ჰქმნის და ღრმად სწამს, რომ დღეის საქმე სახვალიოდ უეჭველად ასარგებლებს...

და თვისი ნაშრომით გამხნეებული დაღალვას არარად იმჩნევს: მეორე დღეს უფრო მხნედ შეუდგება მუშაობას, რადგან გამოცდილებით იცის, რომ თუ გუშინ ნახევარი ან ერთი დღიური გამოიმკო, ხვალ ერთ ამოდენასაც მიუმატებს და ოჯახის სარჩოს იზოვის, ხოლო ოჯახის კეთილდღეობის გვირგვინი-კი საკუთარი ნაშრომის მიღებაა!..

ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა-ძალა უმთავრესად ამ თვითმოქმედებაზე, ნაშრომის თვალდათვალ ხილვაზე იყო დამყარებული... დღესაც ამ თვალსაზრისით ჰზომავს ცხოვრებას გლეხკაცობა—მუშა ხალხი, ე. ი. ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ღერძი: მუშაობს და ჰქმნის ქვეყნის საზრდოსა!..

სამწუხაროდ ასევე ვერ ვირჯებით ყველა ისინი, რომელნიც დაუსრულებლად ვლაპარაკობთ, ათას დაწყებულ საქმეში ვერც ერთს ვაგვირგვინებთ...

ერთი ელის ერთერთ დაგვირგვინებულ საქმეს, ისეთ საქმეს, რომლითაც შეიძლება თავი მოვიწონოთ: აი, საქართველოს მოწინავე შეილთ აღძრეს ეს საკითხი, ხალხმა მოიწონა და თქმული საქმედაც აქცია, განზრახული გააკეთა, ააშენაო...

ხოლო თუ ერთი ასეთი ასაშენებელი, საქმედ გამოჩენილი, შევქმენით, ამითი ჩვენ თვით ერს, ხალხს შთაგებრავთ თავისი თავის ძალას, თვითმოქმედების უნარის გამოჩენა-განმტკიცებას და ჩვენის ქვეყნის უკეთესი მომავლის რწმენას..

დაუმთავრებელი, კედლებ-ამოყვანილი და კერდაუხურელი საქმე-კი ძლიერ ბევრი გვაქვს: თითქმის არც ერთი ჩვენი ფონდი თუ საერო საქმე არ არის თავმოდგმული...

აი, თუნდა თეატრი..

**სამშობლო კერა.**

რაც დრო გადის, მით უფრო მწუვავედა ჰგრძნობს ჩვენი მსახიობი საკუთარი კერის უქონლობას, მით უფრო საფრთხეშია სამშობლო სასცენო ხელოვნების განვითარება...

უფრო მეტად ისჯება სცენის პირდაპირი მსახური—მსახიობი და ქართული სცენის მულემივი მრევლი—ხალხი, დემოსი და მოწაფენი, — ისინი, რომელნიც სულიერ საზრდოს უმთავრესად ქართულ თეატრში იკლავენ...

ინტელიგენციას-კი რა? იგი თავს უფრო შევებითა ჰგრძნობს არა ქართულ თეატრში: სამშობლო ენა და მშობლიური ხელოვნება თითქოს მის ყურსა და განვითარებულ გემოს ეჩოთირება...

საკუთარი თეატრის ჩქარა აუშენებლო-

ბა-კი ჩვენი კულტურის და, ვიტყვი თ მეტსაც, ეროვნული სიკვდილი იქნება: მოისპო ქართული სული, ქართული მეტყველობა—მოისპობა ქართველიც...

ამის ნიშნები კი უკვე სჩანს. მსახიობთა დაქსასვა, დახურდავება, და საზრდოს საშოვრად გაბამულავება...

წმინდა ხელოვნების მხატვრობისა და იდეურობის მიფუჭეჩება...

და განა ყველამ არ იცის, რომ ასეთი მდგომარეობიდან მხოლოდ საკუთარი თეატრის აშენება გვისხნის!

მაშ რაღასა და ვიღას უცდით?

თუ ქართულმა თეატრმა გაათვითცნობინა საქართველო—ქართველი ხალხი, თუ ქართული თეატრი ესარკვევა ქართველთა ყოფა-ცხოვრებას და წინამორბედ ვარსკვლავად მოევილინა, თუ ქართული თეატრი შეიქმნა ქართველი ხალხის ეკლესია, სკოლა და ოჯახი, ისევე ქართველმა ხალხმა—მთელმა ერმა უნდა აავოს, ააშენოს ქართული თეატრი.

ქართული თეატრი მაშინ უფრო ძლიერი და მრავალ-ძარღვოვანი იქნება, როცა ამის აშენებაში ჩვენი სამშობლოს ყოველი შვილი მიიღებს მონაწილეობას...

ეს უკვე ითქვა და ჩვენც რამდენიმე საშუალება უჩვენეთ კომისიას საეროდ ფულის შესაკრებად...

მაგრამ ჯერ კიდევ სდუმან და ფეხმოკვცილნი არიან.

როდემდის?

ფულის შეკრება-კი ახლავე შეიძლე'ო-და ბევრი სხვადასხვა გზით...

ამ დღეებში ერთმა ჩვენმა ცნობილმა ვეჟ ლმი, გ. გძელიშვილმა, რომლის რჩევითაც „ახალ კლუბში“ დაწესდა ქართულ თეატრს ასაშენებელ ფონდის სასარგებლოდ გადასახადი, გამოსთქვა აზრი, რომ გამოიცეს ეტონები (ლითონის ანუ ქალაღისა), შოთას, ილიას და აკაკის სახით სხვადასხვა ფასისა (30 კ. 50 კ. დი 1 მ.), რომლებიც მთელ საქართველოში გიყიდება. სასურველია, ჩვენი აზრით, სცენის ნაამგდარ მოღვაწეთა ეტონებიც გაკეთდეს ამავე მიზნით.

აზრი კარგია, ამას მ წყობა-განხორციელება-ლა უნდა...

თეატრის ასაშენებლად მოწოდებულნი, ნუ თუ არ შეინძრევით?..

ანდრია ლულაძის წიგნთსაცავიდან აკაკის ლექსი—აკროსტიხი\*)

### ს ა ხ ს მ ვ რ ა ლ

ს-ამაგალითო მოღვაწევ!  
მ-რთგულო შვილო ქართლისა!  
რ-წმუნება გქონდა მომავლის,  
გი-ყვარდა ძებნა მართლისა!

მ-აგრამ უღროგოდ გაგვიქრი,  
მ-რთი ძმა პირველთაგანი!  
ს-აფლავეში ჩაგყვა ნატრისთვლად  
ხს-ნის იმედისა საგანი.

ა-ქ კი დავგიგდე ანდერძად,  
ძ-ვალში რომ მივჰყვეთ იმ თქმულსა?  
ა მინ! მსხვერპლი ვართ იმ აღთქმის  
ძი-ღობნათ მივსცემთ ჩვენს გულსა!

აკაკი

### უ ს ა თ ა უ რ ო

ზაფხულის მშვენიერი ღამე იღვა.  
მაშვრალი ხალხი ძილს მისცემოდა.

არ ეძინა მხოლოდ ერთ ქალს, რომლის ოთახიდანაც ობლად გამოკრთოდა სანათის შუქი.

იგი წამოდგა, კარი გამოაღო და გარედ გაიხედ-გამოიხედა.

— არავინა სჩანს!.. დროა!—სთქვა ქალმა და ისევ შებრუნდა.

სანათი ჩააქრო...

გარედ გამოვიდა.

ხელში რაღაც გახვეული ეჭირა და გულში იკრავდა.

გაიარა რამდენიმე ქუჩა და შეჩერდა. მწუხარებით დააკტერდა მკერდში მიხუტებულ საგანს.

— შვილო!—დაიქვითინა ქალმა—ჩემო საყვარელო შვილო!.. შენ გძინავს, გძინავს,

\*) იბეჭდება „ქართ. ეთ. საზ.“ თავმჯდომარის თანხმობით.

გენაცვალე და არ კი იცი, რა ცეცხლშია დედა შენი, რას გიშვრება, რა დანაშაულობას სჩადის... შემინდე!.. მაპატიე, შეილო!.. შენ, შენ მაინც ნულარ შემვიგინებ ყველასაგან უარყოფილსა და ფეხ-ქვეშ გათელილ სახელსა. მშვიდობით, გენაცვალე!.. ამის შემდეგ ველარა ჰნახავ შენს დედიკოს... ველარ ჩაეხუტები მის გულს... ველარ დაგიკოცნის ფუნჩულა თათებს, უმანკო ტუჩებს, იის ფერ თვალებს. გათენდება, გამოგვლავდება და ატირდება. ატირდება, გენაცვალე, და დედა შენი კი, ძუძუ სამიწე დედა შენი, აღარსად იქნება.. წაგიყვანენ სხვები, უცხონი და... დამივიწყებ... არ დაგივიწყებ მხოლოდ მე, შენი უბედური, შენი კვნესისა და სიყვარულის წამლები დედა... მშვიდობით!.. მშვიდობით, ჩემო პაწია შეილო, ჩემო უკვდავო ხსოვნავ, ჩემი სულის თანამგზავრო ქენჯნავ და სიმწარე...  
მშვიდობით!..

ერთხელ კიდევ დაჰხედა ცრემლიანი თვალებით, ერთხელ კიდევ დაჰკოცნა მძინარე ანგელოსი და ყრუ ქვითქვითით მიიძალა მრავალ უბედურებათა მომსწრე-მოწამე ლამის სივრცეში.

მეორე დღეს გაზეთებში შემდეგი ახალი ამბები ეწერა:

1. „გუშინ, დილის 6 საათზე, უსახელო ქუჩაზე, შალში გახვეული პაწია ბავშვი იპოვეს, რომელსაც არავითარი ბარათი არ აღმოაჩნდა. ბავშვი მამრობითი სქესისაა და დაახლოვებით 5-6 თვისა იქნება. იგი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს“.

2. გუშინ, დამის 12 საათზე, ვორონცოვის ხიდიდან მდინარე მტკვარში გადავარდა და თავი დაიღრჩო ვილაც უცნობმა ქალმა. ვინაობა გამოურკვეველია.“

*კ. ა. მ. მ.*



**გაბრიელ დანუნციო (რაპანიეტა)**

იტალიის გამოჩენილი მგოსან-დრამატურგი, ავტორი „იორიოს ასული“ს, „ჯიოკონდა“-სი და მრ. სხ., თავისი ნებით იტალიის მომქმედ ჯარში ჩაეწერა.

# დასის მოგზაურობა

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“ № 24)

სოსოს სახე დაუნდვლიანდა. ვარლამიც მოიღუშა. ვარლამმა კარგად იცოდა, რომ სოსოს არ ესიაშოვნებოდა ესეთი უკუდგომა სცენისაგან, თვითაც ჰქონდა გულში ფარმაცისათვის ეძღვნა თავი. რა ექნა?.. შინ არ ასვენებდნენ:—ხელმოკლეთ ვართ, ამ ხელა მოგვესწარი, ახლა შენ უნდა გვარჩინო. შენ კი რალაც ფანტაზიებს გადაჰყოლიხარ. ჯერ თვით ქართული თეატრი რა არის და მერე მისი სუფლირობაო?..

მაგრამ დიდათ უყვარდა ვარლამს თეატრი. ნათლად გრძნობდა მის დიდ მნიშვნელობას ცხოვრებაში. განსაკუთრებით პროვინციისათვის. აკი ის იყო კიდევ მუდამ თავის ამხანაგთა შემგულიანებელი. ხედავდა როგორის ალტაცებით ეწაფებოდა ხალხი საზოგადოთ წარმოდგენებს და თავი არა შურდა ამ საქმისთვის შესაწირავად, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ სხვას ეუბნებოდა ოცნება და სულ სხვაგან კი მიჰყავდა სინამდვილეს.

ახლაც ანდროს პირდაპირმა და გულ-  
წრფელმა განცხადებამ მოაგონა მისი ფარუ-  
ლი აზრი.

სოსო თითქო მიუხვდა ვარლამს მოღუშ-  
ვასაც და დაიწყო:

— აი, ესეთები ხართ... შენგან, ანდრო,  
ნუ გეწყინება, იმდენად არ მიკვირს და აი  
ვარლამიც.., განა არ ვიცი, რომ მაგასაც  
თავისი გული სრულიად სცენისთვის არა  
აქვს დადებული?.. გაგვამტყუნებენ აბა რა  
იქნება, როდესაც თვითონ ვუმტყუნებთ  
ჩვენ საქმეს, — სირცხვილია! —

— ახირებული ხარ, შენ ნუ მომიკვდე  
სოსო!

დაიწყო ისევ ანდრომ.

— გაგვამტყუნებენ რომელია? — თუ მე  
შიშშილით კუჭი გამიხმება... თუ მე თავის  
დღეში სცენაზე წინ ვერ წავიწევ და სულ  
ასე ორ-ორ სიტყვიან როლებს მათამაშებენ...  
რალას დაეურჩე... წავალ, ბატონო, და მად-  
ღარიც ვიქნები და კმაყოფილიც.

— ეეჰ, აბა რეებს ამბობ, ანდრო? —  
კმაყოფილი და მადღარი... შენ რა? ნივთიე-  
რი კმაყოფილებისათვის მოდიხარ სცენაზე  
თუ სხვა უფრო რამ მაღალი საგნისთვის?..

ანდრომ უკმაყოფილოდ თავი განზე  
მოიბრუნა, სოსო კი განაგრძობდა:

— ჩვენ სულ სხვა რამ უნდა გვაშაქმე-  
დებდეს. — ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ მართ-  
ლაც რაღაც სიკეთე მოგვაკვებს ხალხისათვის  
და თუ კი ეს აზრი გვასულდგმულებს, მაშინ  
კიდევ უნდა ვიშიშშილოთ და კიდევ  
უნდა გავწვალდეთ... თუ საქირთა,  
უნდა მოკვდეთ კიდევ სცენაზე. — არა, მე  
ამას ტყუილა ფრანგებს კი არ გეუბნებით...  
თუ ეს არა გწამს, თუ თვით საქმე, თეატრის  
მნიშვნელობა არა გჯერა, მაშინ მართლაც  
რომ უნდა ჩამოეთხოვო, ამისთანები არ უნ-  
და თეატრს... ამისთანები სცენაზე მუდამ  
მოხელეები იქნებიან და, მერწმუნე, რომ ისინი  
ვერც ვერასოდეს წინ ვერ წასწევენ ჩვენი  
თეატრის საქმეს. თქვენგან კი ამას არ მო-  
ველი... არ უნდა მოველოდე. —

— ეგ მართალია, სოსო, მაგრამ ესეც  
კია. — ჩაერთა ახლა ვარლამი.

— თუ კაცი სცენაზეა და თავის დღე-  
ში წინ ვერ წაიწევს, თუ მუდამ სტატისტიად  
დარჩება. —

— მაგას რა უჭირს? —

ჩაუმატა ანდრომაც.

— ნასწავლი კაცია, რეჟისორიც წყა-  
ლობს და როლებიც კარგი აქვს. —

— ეეჰ... —

ნაღვლიანად გაიღიმა სოსომ.

— მაგას აბა რატომ ამბობ?.. რა არის  
ნასწავლი... საქმე ნიქია, საქმე გულის ცეც-  
ხლია... სასცენო ნასწავლობა, სასცენო ტეხ-  
ნიკა თავის თავად მოვა... სწავლა დიდი რა-  
მეა საზოგადოთ. მსახიობიც კიდევ უკეთესი  
თუ ნასწავლი იქნება, მაგრამ ხომ ხედავთ,  
რომ ნასწავლები ჩვენ თეატრს გაუბრძან...  
მერე? ამისთვის ჩვენი თეატრი უნდა მოკვ-  
დეს? მანამდე არავინ არ უნდა შეუღდეს მას  
ბოძებათ? უთუოთ. და აი თქვენა ხართ, ჩვე-  
ნა ვართ ის მეორე თაობა, რომლებიც არ  
ჩაკლავენ ამ წმიდა საქმეს და უკეთესს მერ-  
მისს გადასცემენ მას ცოცხალსა და უძლე-  
ბისდაგვარად გამშვენებულს — რა ვუყოთ,  
რომ მესხიშვილის და აბაშიძის მაღალ-ნიჭიე-  
რება არ მოგვდგამს — ჩვენცა გვაქვს ჩვენი  
ღვთიური ცეცხლი, რომელიც მერწმუნეთ  
დიდად საქირთა ამ ჟამად ჩვენი თეატრისთ-  
ვისა. მაშასადამე დავიცალოთ... ვიმუშაოთ,  
ნუ ვულაატებთ ამ საქმეს და ჩვენც ველირ-  
სებით. — შენც ეღირსები, ანდრო, კარგ რო-  
ლებსაც და კარგ, შესაფერ საპატიო მღვო-  
მარეობას ჩვენს თეატრში. —

ახალგაზდებს თანდათან სახე გაუბრწყინ-  
დათ.


ვარლამს თითქო გამამხნევებელი სული  
შთაბერესო. უყვარდა მაინც სოსოს საზრია-  
ნი ლაპარაკი და მისმა გულმა გამოიღარა.

ანდრო მთლად კიდევ არ იყო თანახმა  
სოსოსი მას კიდევ კარგად არ ჰქონდა  
გარკვეული საზოგადოთ თავის გაწირვის ამ-  
ბავი, მაგრამ ის უფრო იმ პრაქტიკულმა მო-  
საზრებამ მოხიბლა, რომ შეიძლება მისი მო-  
მავალიც გამობრწყინებულიყო ამან გაახარა.

სოსო კიდევ დიდხანს უამბობდა სასცე-  
ნო მუშაკობაზე, უკეთესს მერმისსზე ამხანა-  
გებს და ბოლოს გულ-გამთბარნი, წახალისე-  
ბულნი, იქნებოდა ღამის პირველი საათი,  
დაიშლნენ.

*მ. შ. მ. მ. მ.*

(გაგრძელება იქნება)



**მხატვარი მამა-შვილი**

მოსე თოიძე და შვილი მისი ერეკლე, 12 წლისა. მ. თოიძემ სახელოსნო სკოლაში სწავლის გათავების შემდეგ, პეტროგრადის სამხატვრო აკადემიაში დამთავრა მხატვრობის კურსი გამოჩენილ მხატვარ რეპინთან. საიუბილეო გამოფენაზე ერთს სურათში („მცხეთობა“) ოქროს მედალი მიიღო. ეს სურათი (დაფაქებულია ოთხასი თუმანად) მხატვარმა ქართულ მუზეუმს შესწორა. 15 წელიწადია, რაც მხატვრობს, მისი შვილი ერეკლე ამ უამდ ქართულ გიმნაზიაში (III კლასში) სწავლობს. გასულ წელს ამ ბავშვის ნახატები 300 მანათისა გაიყიდა; მისი ორმოცამდე ნახატი მხატვარმა კულბინმა წაიღო მოსკოვს, 22—მხატვარმა სკავიტინოვმა.. მხატვრობის დიდი ნიჭი ეტყობა.

## ქართველი ხელოვანი

ყოველ ხელოვანს, იქნება იგი მოქანდაკე, მხატვარი, მგოსანი, მუსიკოსი თუ ვინმე სხვა, თავისი საკუთარი სტილი აქვს. შექმნა სტილის, ეს სიძლიერის მაჩვენებელია, და ვისაც იგი არ გააჩნია, ხელოვანის დაფნას ვერ მიიღებს. სიტყვათა და ფრაზათა ხმარების ხასიათი შექმნის სტილს მხატვრულ მწერლობაში. საკუთარი კონცეპცია, ექსპრესია, საკუთარი კომპოზიცია, ტენიკა, საკუთარი უნარი გამოთქმისა,—აი, ყველა ამ ელემენტთა შეერთება ჰქმნის სტილს მხატვრობაში. ხოლო ეს სტილი უკანასკნელი კოორდინაციაა, და მიტომაც აქ მოსჩანს შემოქმედის მთელი მძლევობა. მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის არა კმარა ღრმა გრძნობა კომპოზიციისა, სრულ სახის დასახატად არა კმარა ტენიკური ხერხი. აქ მთავარ როლს თვითშემოქმედი თამაშობს, მისი აღლო, მისი ცეცხლი. კომპოზიცია და ტენიკა შეგვსაქმ-

ნევენება მხოლოდ ზედ-მიწვევითი ასლს ბუნების ნაკეთისას, მოგვეცემს მხოლოდ მს განმეორებას. მაგალითად ძველ თქმულების-და ზიხედით, ძველად საბერძნეთში, ზეუკისმა ისე ზედ-მიწვევით დახატა ყურძნის მტევანი, ისე ოსტატურად გა-მოიღო მტევნის ფერადი ემალი, რომ ფრინველნი მოფრინდებოდნენ ხოლმე მის ასაკენკადო. ხოლო პაჩაზიუსმა, ამ პირველის მოქიშვებ, მოატყუა ზეუკისნი ოსტატურად დახატულ ფარღით, რომელიც ზეუკისმა ნამდვილ ფარღად მიღო. ან ჭგავისხენოთ დენენერის სურათი, რომელიც თურმე გამაღიჯებელ მინით მუშაობდა და თითო კაცის დახატვას ოთხ ოთხი წელიწადი უნდებოდა. ოღონდ შესამჩნევი ყპის ლაქები, ცხვირის შავი წერტილები და ყველა ამ გვარი წვრილმანი მან მიზნად დაისახა და აკი დახატა კიდევ სურათი. მაგრამ რაგორი? აი აქ არის საქმეც. კაცები ისე ცოცხლად არიან დახატულნი, რომ გგონია აპა, საცაა ჩარჩოდან გადმობტები. ნო. მაგრამ მიაღწია თუ არა დენენერმა შემოქმედებითი უმაღლეს საფეხურს ამ ჰენიალურ მოთმინებითი ხატებით? რასაკვირველია ვერა. მან შექმნა მხოლოდ ზედ-მიწვევითი ასლი. ხოლო კი ვერ გვაჩვენა საკუთარი სტიქია. მან გაიმეორა არსებული, მაგრამ ვერ გადმოგვცა თავისი განცდა, ამ არსებულთ გამოწვეული. აქ კი როგელიმე ესკიზი რემბრანდტისა, ან რუბენისა, ან და მისი მოწაფის ვან-დეიკისა, რასაკვირველია, ბევრით მადლა სდგას დენენერის სურათზე. თუმც პირველში სახის ყოველი უჯრედი ზედ-მიწვევით არის შემოხაზული, ამ უკანასკნელში-კი შეიძლება წვრილმანები სულ უყურადღებოდ იყვნენ დატოვებულნი, და ჩვენ მხოლოდ აჩქარებულ ხაზ-მოსმას შევსცქეროდეთ, მაგრამ მაინც ეს უკანასკნელი გვაძლევს საშუალებას ესთეტიურ ტკობისას. რატომ? მიტომ რომ მათ შიგ ჩააქსოვეს მთელი თავისი „ტემპერამენტი“, მთელი ძალა. რუბენსმა თავ-შეუკავებლობა, ვნებ-ს ცეცხლი, ენერგია, ვან-დეიკმა მეთი სიცივე და თავ-დაქერა; რემბრანდტმა-კი ს-ყვარული კონტრასტებისა, სიმკვეთრე ფერებისა, სინათლე-ჩრდილის უკიდურესობა. აქ თქვენ ვერ შეხვდებით იმ გაზვიადებულ

შრომას, იმ ჰენიალურ მოთმინებას, რომელიც დენერბა გამოიჩინა. აქ ოფორტია, სისწრაფე შესრულებისა, მაგრამ საუცხოვოდ გამომოქეი დიდი და დამახასიათებელ ხაზებისა. და ხელოვანიც მხოლოდ აქ გვეჩვენება. შემოქმედი ხომ ბუნებ-ს ასლს არ გადმოგცემს. იგი სურათს ისე გვიხატავს და გვაძლევს როგორც ეს მის არსებაში გადადის და სახეს იღებს. არა სახე ბუნებისა, არამედ განცდა, ამ სახით გამოწვეული,—აი შემოქმედების საქმე. რადენადაც რთული და ღრმაა განცდა, იმდენადვე ძლიერია სურათი; რამდენადაც ცხოველია მხატვრის „ტემპერამენტი“, იმდენად ცხოველია სურათიც. ფლეგმატიკოს მხატვრას სურათი სიზანტის და უსიცოცხლობის სახეს ატარებს.

ეს არის საზოგადო ხაზები, რომლითაც მხატვრობა განიზომება.

მაგრამ დღეს ხომ ხელოვნების ფილოსოფიაზე არ ვსაუბრობ, მე მხოლოდ მსურს ქართველი მკითხველი შეეცვანო ქართველ მხატვრის ატელიეში, გადაუშალო ფრად საინტერესო სურათთა წყება, და პირადი შთბეჭდილება გაუზიარო. ეს ქართველი მხატვარი მოსე თოიძეა, რომელმაც „ახალკლუბი“-ს ფოიეში მიიტანა თავისი ნაშრომი, და ქართველ საზოგადოებას გადაუშალა ქართულ ხელოვნების ნიმუში. მის შემოქმედებაში ამეტყველებულია ქართული ტემპერამენტი, ცხოველი, მკვეთრი. მას უყვარს უკიდურესობა, კონტრასტები ისევე, როგორც საზოგადოდ სამხრეთის შეილებს. კონტრასტებით არის აღსავსე საქართველოს ბუნება. მასვე დაემსგავსა ქართველი კაცი. გადახედეთ საქართველოს. აქ ნახავთ ერთდროულად მწვავე მზეს და მკაცრ ყინულს; უსიცოცხლო ტბას და ხალისიან ჩანჩქერს, თვალ-უწვდენელ ველს და შეხუთულ, პიტალო მთა-კლდეებს; ხავერდოვან მინდვრებს და ატეხილ ტყე ქალებს. ხოლო ყველა ამან აღზარდა ქართველში ის გრძნობითი ტონი, ის, უნარი აფექტიური რეაქციისა, ის ხასიათი, რომელსაც ძველი პსიხოლოგია „ტემპერამენტს“ უწოდებდა. ქართველი კაცი ფიცხელია და დუნე. მასში ცეცხლიც არის მოთავსებული და ფლეგმაც.



ჭაჭის კაცი  
მოსე მანჯგალაძე

სოფ. ბახველი—გურიიდან, გერმანელებთან ბრძოლის დროს დაჭრილი და ჭრილობისაგან ვარდაცვლილი ქ. ვარშავის ერთ-ერთ საავადმყოფოში. განსვენებულია ორი ძმა ახლაც ბრძოლის ველზეა.

იგი აღფრთოვანდება უმაღლეს ხარისხამდე და მალევე ჩამოეშვება, მოდუნდება, დაზანტდება. სწრაფად ანთება და სწრაფადვე ჩაქრება. ასეთია მოსე თოიძეც. აბა გადახედეთ მის სურათებს. იქ ჰნახავთ ცხოველი მზის მოცეკვავე სხივებს, ზედ-მეტი სინათლით გადმონაცემს, და მის გვერდით ჩრდილს, პირველის კონტრასტად გავლებულს. მის ნახატებში შეშხვდებით ღრმა სევდას და ხალისიან ღიმილს, ღამეს და დღეს, დილას და საღამოს, მეფეს და გლეხს, სასაფლაოს და მეჯლიშს, ხოლო ყველგან კი ფერების სიმკვეთრეს. მხატვარი ოსტატურად ხმარობს სინათლეს, და იჩენს უნარს ამ სინათლიდან საუცხოვო ეფექტების ამოწურვისას. მას აქვს მქლავრი ფანტაზია, მის ცეცხლზე მეტყველი, მისი სურათები გაუმძლარნი არიან, ძუნწნი. ისინი ვერ გადაგიშლიან სულსა და გულს თუ გაკვირით შეხედეთ და არ შეჩერდით ხაერძლივად ზერეულე მნახველი მათ არ უყვართ და მიტომაც ადვილი შესაძლებელია დიდი არაფერია-ს თქმა. მაგრამ თუ ხანგრძლივად შეაშტერდებით ნახატს, ნამდვილი შემოქმედების ხელს უსათუოდ დაინახავთ. რა უყოთ რომ ხშირად მოხაზულობა არ გაკმაყოფილებთ, რომ ყველგან წვრილმანი დაგმობილია და სურათიც ახლო მისვლას ვერ ითმენს. თქვენც განზე გადქით და შორიდან იგემეთ სურათის მშვენიერება. მაშინ კი მოსე თოიძე შესძლებს თქვენ წინ მშვენიერ, სამეფოს გადაშლას, განგაცდევინებთ სამხრეთის მზის სიმწვავეს და მთვარის გრძნეულებას, მწუხრის მოქანცულობას და განთიადის სასიცოცხლო თრთოლვას, სიკვდილის სუნთქვას და სიცოცხლის სიმღერს.

ვახ. კოტეტიშვილი  
(შემდეგი იქნება)



# პროვინციის მოღვაწენი



**ალექსანდრა ჩიჩინიკე-გაწერელიასი**  
(1883 -1911), სტენის მო-  
ყვარე—ფოთის დრამატიულ  
საზოგადოების დამაარსებე-  
ლი.

ალექსანდრა ჩიჩინიკე-გაწერელიასი (დაბ. 9 ნოემბ. 1883 წ. ს. შუქურთში—ჭიათურაში, 1901 წ. იმერეთის ეპარქიალური სასწავლებელი დასსრულა და იმავე დღიდან ფოთ. საზოგადოებაში მსწავლებლობდა), რომელიც 1901 წ. სტენაზე გამოვიდა და შთელი ათი წელიწადი უანგაროდ იღვწოდა სასტენო ასპარეზზე. იგი, ვითარცა ნიჭიერი და შეგნებული სტენის მოყვარე, 1901 წ. ანტ. ჟენტის მიერ ფოთში დაარსებულ სტენის მოყვარეთა ჯგუფის ხელმძღვანელი იყო და თავისი მეტადინებობით დაარსა ფოთის დრამატიული საზოგადოება, რომლის გამგეობაშიაც ოთხი წელიწადი თავმჯდომარეობდა. ნიჭიერ სტენის მოყვარესთვის დროზე შესთავაზეს თბილისის მთავარ სტენაზე გამოსვლა მაგრამ ხალხის ჭეშმარიტმა მუშაკმა მიუგო: „შეველაში რომ ქალაქს მივაშურათ, პროვინციას რაღა ეშველება... თუ პროვინციის საზოგადოება მომზადებული არ გვეოლება, თქვენც (თბილისის დასს) ნიადაგი არ გექნებათ.“ მისი გარდაცვალების (23 იან. 1911 წ.) შემდეგ სტენის მოყვარეთა ჯგუფმა, ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოებასთან შეთანხმებით და ფოთის საზოგადოების დახმარებით, აირჩია კომიტეტი განსვენებულის ძეგლის დასადგმელად. სტენის მოყვარულთ უკვე შეაგროვეს 81 მ.

სწავლა განათლებით ჩამორჩენილ ხალხის გათვითცნობიერების საქმეში რომ რიგიანად მოწოდებულ თეატრს დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ვეგლა შეგნებული ადამიანისათვის ცხადია; ისიც ცხადია, რომ პროვინციაში რიგიანი თეატრის მოწეობა უფრო ძნელია და ამიტომ მისი უანგარო მსახურნი კრის დიდი მადლობის დირსნი. ერთი ასეთი უანგარო მუშაკთაგანი იყო ქანი

ახლო ხანში იგივე საზოგადოება მართავს წარმოდგენას ამ თანხის გასაძლიერებლად. იმედია, ფოთის საზოგადოება განზრახვას საქმედ აქცევს— თავის ნაამდგარ მოღვაწეს ძეგლს აუგებს, და მით საუაგულოდ ცხადყოფს, რომ ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეთა უანგარო შრომა უქმად არ იკარგება...

ი—ელი

# წყალ-ქვეშა ნავი


(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 24)

ნავში ისეთი საჭირო ხელშესაწყობი მანქანები და კომპასები აქვთ, რომლის შემწეობითაც ნავს იქით წაიყვანენ, საითაც მსურთ: გარდა ამისა, ნავს აქვს ერთი ფრიალ საგულისხმიერო მანქანა, თიზიკურ კანონზე დამყარებული.

ეს არის ნავის თვალი—პერესკოპი (იხ. ორივე სურათი ა)\*) რომელიც ყოველისფერსა ჰხედავს. პერესკოპი ფოლადის მილია, სიგრძით 25 ფუტი (10 ადლი), რომელსაც თავში გაკეთებული აქვს ისეთი მავარი, სქელი შუშა, როგორც ღურბინდს ან ფოტოგრაფის აპარატსა აქვს. ამ შუშაში ყოველივე გარშემო იხატება და ისახება, ამას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ადამიანის თვალს, ესე იგი— ის ყოველისფერსა ჰხედავს და, ამასთანავე, გარდასცემს ძირს მეორე მიმღებ ღილ შუშას, ზოლო გლექტრონის შემწეობით მეორე ქვევითა შუშის ქვეშ მაგიდაზე ისევე გადადის და სიანს ყველაფერი ზევითა შუშით დანახული, როგორც სარკეში ან ფოტოგრაფიულ შუშაზე; იქვე მყოფნი კაპიტანი და მექანიკოსი ჰხედავენ ყოველისფერს, რაც კი თითქმის ორი ვერსის მანძილზე სიანს ნავს გარშემო (იხ. სურათი). ამიტომ როცა ნავი ეპარება რომელსამე გემს, უეჭვე-

\*) პირველი სურათი ნახე გასული კვირის „თეატრი და ცხოვრების“ 24 №-ში, მე 8 გვ.

ლად საქიროა პერესკოვის ზევითა შუშა წყალს ზემოდან იყოს და წყალში არ იმაღლებოდეს.



**წყალქვეშა ნავი ყუმბარის გასროლის დროს**

წყალქვეშა ნავი ჯერ ზღვის ზედაპირზე დასცურავს და როცა რამდენიმე ვერსის მანძილზე დაინახავს მტრის გემს, გაექანება მისკენ, მერე ჩაეშვება ზვირთებში და თან პერესკოპით თვალს ადევნებს; ნავიდან გემს კარგად ხედავენ და გემიდან კი ნავი არა სჩანს. თუ გემიდან დურბინდების შემწეობით პერესკოპის წვერი შენიშნეს, გემიდან ზარბაზნებს დაუშენენ ხოლმე, მაგრამ ნავი უფრო ძირს დაეშვება, მერე ან მარჯვნივ ან მარცხნივ გაუსხლტება და ამ ნაირად თავს გადაირჩენს. თუმცა ამ ომში ისეთი შემთხვევაც იყო, რომ ნავმა ჩამალვა ვეღარ მოასწრო, ყუმბარა მოარტყეს და ნავი ჩასძირეს. როცა ნავი 200-300 საყენზე მიუახლოვდება გემს, მაშინვე ესვრის ყუმბარას (იხ. მეორე სურათი: მომენტი ყუმბარის გამოსროლისა. თვითონ ყუმბარა ე), გემს გახვრტეს და რამდენიმე წუთში დალუპავს ხოლმე. ასე დაილუპნენ მაგ. უზარმაზარნი „შატობრიანი“, „ლუზიტანიი“, რომლებიც ოკეანეს სიამაყეს წარმოადგენდნენ თავის სილიადით, სილამაზით და მოწყობილობით, და კიდევ მრავალი სხვანი. ამ ომში ისეთი შემთხვევაც იყო, რომ ერთ დღეს წყალქვეშა ნავმა სამი კრეისერი დასძირა თითქმის ერთსა და იმავე ადგილას სულ ორიოდ საათის განმავლობაში. თითო კრეისერზე რამდენიმე ასი მეომარი იყო, ზოგი გადარჩნენ და მომეტებულნი კი დაილუპნენ. პირველი რომ ილუპებოდა, ტელეგრაფის მოხელემ უმავთულო ტელეგრაფით დებეშები გასტყორცნა ირგვლივ: გვიშველეთ, ვილუპებითო. ამ ძახილზე მეორე კრეისერი გამოექანა საშველად, მაგრამ მეო-

რესაც ესროლეს ყუმბარა და სანამ ამ გემის ტელეგრაფის მოხელე დებეშებით შველსა თხოულობდა, უკვე დაიძირა და თუმცა მესამე კრეისერი მოეშველა—იმასაც მათი ბედი ეწვია და დაილუპა.

წყალ-ქვეშა ნავი გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე ჯავშნიანი კრეისერები და დრედნოუტები; მათი დანიშნულება მარტო მტრის ზვერვა-მოგვრებაა და ახლა, ცხადია, ეს პატარა ნავი როგორ ერევა და სძირავს რამდენიმე მილიონ მანათლად ღირებულ უზარმაზარ გემებს.

**მ. იანჭი**



**თავ. დიმატრი ერასტიხძე ჩოლოყაშვილი**  
თბილისის გუბერნიის თავ.-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე არჩეული.

**რისთვის უყვარხარ?**

რისთვის უყვარხარ, როს შენს თვალგემში არა სჩანს მადლი სიყვარულისა?—

იგი იწვევა სევდის ალებში,

შენ კი გინახავს ვარდი გულისა!

რისთვის ელევა საბრალოს სული, როცა შენ მისი მტერი გამხდარხარ?! როცა პირველმა ჰგმე სიყვარული, გრძნობის ჯალათო, რისთვის უყვარხარ!?

რისთვის დაეძებს შენში სიამეს, როცა შენ მისი ცრემლების ზღვა ხარ?

როცა მიეცი ის სევდის ღამეს,—

რისთვის უყვარხარ, რისთვის უყვარხარ?..

**ღარია ახვლედიანისა**



**გენერალი ვასილ გაბაშვილი**

სახელგანთქმული სარდალი, მონაწილეობდა 1877 წ. რუს-ოსმალის ომში. უკვე 60 წ. მისწეული და სამსახურიდან გამოსული ახლანდელ ომში თავისით დაუბრუნდა სამსახურს და თავისი დივიზიით ოსმალეთთან ბრძოლის დროს სასწაულები მოახდინა თავისი გამჭრიახი, მოხერხებული და მარჯვე მოქმედებით, რითაც ოსმალები სასტიკად დაამარცხა. მისი დივიზიის უწოდეს „რკინისა“. ასეთის გმირობისათვის, იგი დაჯილდოვებულ იქმნა და რუსული გზაუბები დიდის ქებით იხსენიებენ მის გმირობას.

**მწირო-სარდალი**

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 24)

**მართა** (ნინოს) შენ გიყვარს გივი?..

**ნინო** (ჟურ, გაოცებული, შეხედავს და შემდეგ მტკიცედ)

ჰო, გიყვარს, გიყვარს!..

**მართა** მაშ, გთხოვ ცოტა ხანს ყურის დაგდებას!

გეტყვი საშინელ საიდუმლოსა და შენც მიხვდები ჩემს მოქმედებას!..

(მტორე ღუმიჯის შემდეგ)

როგორც თვითონაც შენც კარგად იცი, ქმარი და ორი ვაჟიაცი შეილო ერთ დღეს დაგვარგე: სამთავეს ერთად ხედათ ბრძოლის ველზე მტრისგან

სიკვდილ!..

მართალი არის, მსხვერპლს ითხოვს

დაცვა

მამულისა და სარწმუნოების, მაგრამ ვაი, რომ ვერ ურიგდება ამ კანონს გული, ურჩი გონების, და მეც თავს მით-ლა ვინუგეშებდი, რომ შევეყურებდი გივის, საყვარელს, ის-ლა მაძლევდა ძალას, მეცოცხლა; მიმსუბუქებდა ტანჯვას, საზარელს! მაგრამ უეცრად ვნახე, ბედკრულმა, საკვირველებით სავსე სიზმარი და ვაი, რომ მან წამსვე იმედის უკანასკნელიც დამიხშო კარი!..

ვითომ პატარა რაზმსა ქართველთა. წინ მიუძღოდა რომ ჩემი ქმარი,

გარს შემოერტყა მოულოდნელად ჩასაფრებული მტრისა ლაშქარი და გაიმართა ჩვეულებრივად საყოფნ-არყოფნა ბრძოლა, საზარი!..

ოთარი მოჰკლეს; მისი ადგილი უფროსმა შეიღმა სწრაფ დაიჭირა და ცალი ხელით მტრებს იგერებდა, ცალით კი დროშა მალა ეჭირა!..

იგიცა მოკლეს, მაგრამ მოასწრო და, ვიდრე სული ამოხდებოდა,

დროშა გადასცა თავისს უმცროს ძმას; ესეც ურდოსთან რას გახდებოდა და სასიკვდილოდ მალე დაიჭრა!..

დროშა მტერს ხელში უვარდებოდა, რომ საიდანაც გაჩნდა პატარა გივი, ქაბუჯად უკვე ქცეული;

დროშა მომაკვდავ ძმას გამოართვა და კვლავ გაგრძელდა ბრძოლა,

წყეული!..

ოჰ, ნუ თუ ესეც მოკვდება მეთქი, ვიფიქრე და ღმერთს მისი მანაც ხსნა

ვსთხოვე, მღუღარის ცრემლით  
მტირალმა!

ვხედავ, უცრად ზეცა გაიხსნა  
და გადმოსულმა მადლით ღრუბელმა  
დაჰფარა სრულად ბრძოლისა ველი;  
ამავ დროს ტკბილი ხმები მოისმა;  
მიმოიფანტა ისევ ღრუბელი;  
მზე ამოვიდა, — ბნელ არე-პარეს  
უხვად მოჰფინა სხივი, ნათელი,  
და ვნახე, ბრძოლა აღარსად იყო:  
ნაცვლად ანგელოსთ გუნდი გალობდა;  
მათში ერთა ჩემი გივიცა  
ხელში ჯვართა და ლოცულობდა!..  
მაშინვე წმიდა მეუღაბნოეს  
ვსთხოვე ამ სიხზრის მე განმარტება  
და მისი აზრი მანაც, უბედურს,  
ასე ამიხსნა: „დავაჟკაცდება,  
თუ არა, შენი პატარა გივი  
და მეომარაა შეიქმნებაო,  
ერთ მამას და ძმებს, მასაც მტრის ხელით  
სული ბრძოლაში ამოხდებოა;  
გზა ხსნის ერთია, — ქვეყნიერების  
უარყოფა და დავიწყებაო;  
ღვთის სამსახური, ლოცვა-ვედრება,  
ხმლის ნაცვლად ჯვარის ხელთ  
აღებაო!..“

ამის გამგონე რალას ვიზამდი?  
და შევაფარე ის მონასტერსა,  
რომ მეომარი არ გამხდარიყო  
და ეცოცხლა, თუნდ, ვითარცა ბერსა!..  
ჰა, დავაჟკაცდა მართლა კიდევაც  
და, თუ აიღო ახლა მახვილი,  
გული იგრძნობს, რომ არ აშორდება  
პირველ ბრძოლაში მტრისგან  
სიკვდილი!..

(ცრემლ-მორეული)  
ვხედავ უყვარხარ; შენც გყვარებია...  
ღმერთმა მაჩვენოს თქვენი ქორწილი;  
წინააღმდეგი არაფერი მაქვს  
და დამითმია შენთვის მე შეილი!..  
მხოლოდ ამას ვთხოვ, რომ ის არ  
მოკვდეს;  
სხვა არ-რა მინდა, იყოს ცოცხალი;  
იყავით ერთად, ბედნიერები,  
და მეც დამატკბეთ ღედა, საწყალი!..  
**ნინო** (ტანჯვით) კარგი, მაგრამ, თუ  
ასეთი ხვედრი  
მისთვის განგებით დანიშნულია,

მე რა უნდა ვქნა?.. როგორ დავიხსნა?..  
განგებასთან ვის რა შეუძლია?..

(ცრემლ-მორეული)  
ოჰ, თავს შევსწირავ, ოღონდ ეშველოს  
და ის უდროოდ სიკვდილს გადარჩეს!..  
**მართა** (ვედრებით) უთხარი ომში  
აღარ წავიდეს  
და დაჯერე, რომ შენთან დარჩეს!  
**ნინო** (მღელვარებით) ამას ვერ ვიზამ, —  
ვერ გამოვწირავ,

როცა ქვეყანას იგი სკირდება?  
**მართა** თითქო მიყვარსო?..

**ნინო** მიყვარს, თაყვანს ვცემ;  
მაგრამ ეს მაინც არ შეიძლება!  
და, რომ კიდევაც ამისი თხოვნა  
ჩემ სატრფოსათვის მე შემძლებოდა,  
დამთანხმდებოდა ისიც და მართლა  
დარჩენილიყო, შემძულდებოდა!

(აღფრთოვანებით)  
რად მინდა, მყავდეს სატრფო ცოცხალი,  
თუ ეს სიცოცხლე პირუტყვეულია;  
თუ ერს და მამულს არას არგია;  
ორივესათვის დაკარგულია?..  
შოთამ არა სთქვა, ვერ დაიჭერსო  
სიკვდილს გზა ვიწრო, ვერცა

კლდოვანი  
და სირცხვილელ, ნაძრახ სიცოცხლეს  
სჯობსო სიკვდილი, სახელოვანი?..  
მკვდარი... რა მკვდარი! განა მოკვდება  
მამულის მხსნელი?.. არა და არა!  
ვისაც ასეთი ბედი ერგება,  
ის ცოცხალია, ის არ მომკვდარა!  
ერის ხსოვნაში გაღმერთებული  
არ მიეცემა ის დავიწყებას  
და არა ერთი აღფრთოვებული  
მგოსანი უძღვნის ქება-ღიდებას!..  
(ტანჯვით) მშვიდობით!.. ისევ ღმერთს

შევევედროთ,  
რომ აგვაშოროს უბედურება  
და მე-კი, ვაი, არ შემოძლიან  
შენი ამ ტანჯვის შემსუბუქება!..  
(წასვლას აპირებს, მაგრამ მართა ხელს მოჭკიდეებს)

ლექსი პეპელა  
(შემდეგი იქნება)

# ბ ა რ ა თ ი

დამესიზმრა... იცი, ჩემო, წუხელის რა დამესიზმრა?..  
 მინდა გითხრა... მსურს მოგწერო .. გამცნო ჩემი გულის ძეგრა,  
 შენთვის ჟრუოლა, შენდა სრბოლა, შენზე ფიქრი, შენკენ ცქერა!..  
 მაგრამ ჩუმათ. . შენ, შენ მხოლოდ!.. სხვას რა უნდა, აბა ვის რა?!..  
 მეშინია.. მეშინია—სიზმრების გზა არ ისწავლონ—  
 და, ვით ცხადი მომიწამლეს, სიზმარიც არ მომიწამლონ . .

\*\*

ოხ, რატომ ხარ, სიცოცხლეო, ასე, ასე დაშორებით,  
 რომ არ ძალმიძს—გული, სული ფიანდაზათ გაგიშალო,  
 მთლათ სიცოცხლე შემოგწირო, სულის ქმუნვა წავიშალო—  
 და მეც დავსტებ შენი უზბლის ღარებისა გასწორებით! .  
 მითხარ, მითხარ... რატომ არის სიშორისა ეს მანძილი —  
 და როდემდი უნდა სწამლოს ეგ სიზმარი, ეს მან ძილი?!.

\*\*

მაგრამ... ვგონებ შორს არა ხარ —და მე ვცთები?.. დიახ. ვცთები!  
 შორს რომ იყო, რატომ არის, რომ ყოველ წამს თვალით შეგცქერი?  
 მაშ რათ მესმის შენი გული, თანაგრძობით ანაძგერი?  
 შორს რომ იყო, რატომ დგახარ სულ ჩემს თვალწინ? სიდან ჩნდები?! .  
 არა, არა! ვინ სთქვა, თითქო შენი თავი მომაშორეს —  
 და მით სული ამომხადეს?.. ნეტა რისთვის, რათ მოქორეს?!.

\*\*

და წუხელის... ნუთუ მართლა სიზმარია?!. მე არ ვიცი. .  
 მე ვერ ვიტყვი, შენი ნახვა „ცხადი იყო, თუ მეოცნა“?  
 თუ სიზმარი—მაშ ეს შენი ცხელი ხვევნა, ცხელი კოცნა?!  
 არა! სიზმრათ ვნახე-მეთქი, მე არ ძალმიძს ამის ფიცი!..  
 და თუ მართლა სიზმარია, რა მაცოცხლებს მე უშენოთ?!.  
 კვლარს რათ უნდა, თუნდ ფირუზის კოშკი უგოთ და უშენოთ?!.

\*\*

შენითა ვარ, შენით ვცოცხლობ!.. არც მოვკვდები... არ მოვკვდები,  
 სანამ ცოცხლათ მეგულები, სანამღი შენ გულში მიზი!..  
 მწამს—საქვეყნო ჩემი გრძობა შენით არის მეტ-ფაქიზი, —  
 შენით ვმხნეობ ერთი-ასათ, ბოროტებას ვუმკლავდები!..  
 ვიბრძვი — და როს შენ გიგონებ, შიში ჩემს გულს ხელს ვერ ახლებს!  
 მოციქულებს შოთაც მოწმობს: „სიყვარული აგვამალლებს!.“

\*\*

აჰა, ჩემი გულის სიმნი, ჩემი სულის მთელი სივრცე!  
 გადიკითხე ჩემი გრძობის ეს ნახატი, ეგ სურათი,—  
 მხოლოდ შენ, შენ... საიღუმლოთ გადიკითხე ეს ბარათი!..  
 მაგრამ რა ვქნა? ვისი ხელით გამოვგზავნო? ვის, ვის მივსცე,  
 რომ გრძობა არ გამიმეღაენოს, სიზმრების გზა არ ისწავლოს —  
 და ოცნება, თვით ოცნებაც არ მომიშხამ-მომიწამლოს?!.

სილოვანი\*)

\*) „თ. და ც.“ № 20 მოთავსებულ „ლექსში „ჩემი ფიქრები“ პირველ პუქარში შეცდომით იყო დაბეჭდილი: „მე ვარ და ჩემი ნახატი“ უნდა იყოს: „მე ვარ და ჩემი **ვიძარაზი**.“ — ეს ლექსი იბეჭდება ავტორის მართლწერილთ,

# სამეზოს ზღვაზე

X ეპიტაფია

ვერას დროს ვერ შევძელ სულის დამწყულლებელ ფიქრთა გაზოთქმა, ისე ჩავესვენე აქ ცივ სამარვს და იმის ხსოვნა, რომლის თვალთა სიღრმეში სიყვარულს ნაცვლად გულციობა, შუი, დაცინვა ამოვიკითხე, თან ჩავიმარხე მიწის წიაღში.

რად დავუძღურდი, რისთვის ვეწამე, რამ წარიტაცა სულის სიმშვიდე? ჰკითხეთ ჩემ სამარის ღუმლის... ის მოგცემთ პასუხს.

*პოეტი ნიკოლოზი*

## არის თუ არა ქართული თეატრი — ქართული?

(იხ. „თ. და ც.“ № 24)

გენიოსმა დოქტორმა სავსებით განმარტა რუსთა ინტელიგენციის სულისკვეთება ჩეხოვმა ნათელჭეო რუსთა ინტელიგენციის საუკეთესო და ძვირფასი რელიგიური ჭანკები მოსკოვის სამხატვრო თეატრმა საუცნოოდ ჩამოაქანდაკა რუსის სული, მისი გულის ცემა. სტილის, სევდით გული ევსება რუს-მაჟორებულს სამხატვრო თეატრში, როდესაც იგი ჩეხოვის პიესების წარმოდგენას უტყეონს. ნაციონალურ—რელიგიური ექსტაზით გაჟღერით აღუდიტორიაში მსმენელი-რუსი უნებლივ უსიხლხორდება ჩეხოვის გიმრებს, როგორც თვის ღვიძლ შვილებს, და სტკებებს ერთსულფანობით. სამხატვრო თეატრში, ჩეხოვის უზენესი ნიჭის შეხებით, მეფობს ჭარმონია მსმენელთა და გმირთა სულისკვეთებისა. გუნება თეატრში ანუ როგორც თვით რუსები უწოდებენ „настроение в театре“ ცხადზედ-უცხადეს ფორმად იქნა რუს აღმიათ რელიგიურ ინტუიციისა. მოსკ. სამხატვრო თეატრი ნამდვილი, ეროვნული, რუსული თეატრია რუსეთისთვის. მხოლოდ სამხატ. თეატრმა პირველმა ჭზოვამ ნამდვილი და გულწრფელი მოტივი რუსეთის

ინტელიგენციის სულიერ დრამისა. სამხატვრო თეატრმა ჩეხოვის შეხებით ჭზოვამ ნამდვილი რუსი თავის სპეციფიკურ მსახლოვებით და რელიგიით. სტანისლავსკიმ შემოსა ეს ნამდვილი რუსი ერთგვარ სტენიურ პრინციპით—მხატვრულ-რელიგიურ ფორმებით და მით ჩეხოვის დრამები რუსეთის ინტელიგენციისთვის მისტერიად აქცია.

ამასვე ელტვის, მხოლოდ სულ სხვა სტენიურ პრინციპების საშუალებით, მიუნხენის სამხატვრო თეატრი, დაარსებული ცნობილ გიორგი ფუქსის მიერ. მისი მიზანია შექმნას ეროვნული თეატრი, როგორც აღმონაწენი გერმანელთა სულის თვისებისაგან. ეძებს იგი საუკეთესო ფორმებს, რომლებიც აგრედე უნდა ივენენ გერმანელთა ხალხის ეთაჟურ-მხატვრულ კონცეპციის შემონაქმენდი რეჟისორი და დრამატურგი, იგი ეძიებს არა მარტო ახალ დრამას, სცფლის თვით სტენის ფორმასაც კი. გიორგი ფუქსმა პირველმა მოსწავლამ რანას და სიღრმე სტენისა. მოქმედება ავანსცენაზე გადმოიტანა და მით დაუახლოვა დრამა აუდიტორიას. გიორგი ფუქსიც ეძებს ნამდვილ გერმანელს და, იმედია, ჭზოვებს კიდევაც.

შეიძლება ევვლას ეს ითქვას ჩვენს ქართულს თეატრზედ? შეიძლება გადაჭრით, გულახდილად იმის აღიარება, რომ ქართულ თეატრში სუფევს ნამდვილი სული ქართველ ერისა? რომ ქართულ თეატრში ჩვენის რელიგიურ ექსტაზით აღტენდებით, რომ მხოლოდ აქ, ქართულ სტენაზე ჭზოვებთ თქვენს გულის ცემას და სულისკვეთებს? უწოდებთ თქვენ ჩვენს თეატრს იმ ტანად, სადაც ერი ხარბის, ერთიტანჯვის თავის საკუთარს ფორმით, საკუთარ თავისებური რელიგიურ სტიქიით? შექმნა თეატრმა სიცილი და ხარხარი ფორმად ფერად ჩვენი ისტორიული სიღუბლინისა და ტანჯვისა? ჭზოვებთ თქვენ რომელსამე დრამაში ქართველი ტიპი—ორჭოფი, გამოურკვეველი და უდაგებელი მსახლოვებით! შეკვიდიანთ მიმითითათ ისეთ დრამასე, სადაც ბრძოლის აღქვეებული ტაღლები ნეტარების ისრებით ესობდეს თქვენს ბუნებას, ზნესა და ჩვეულებას? შეკვიდიან ჩვენ ვზოვოთ ქართულ სტენაზე უმადლესი ნამდვილი ფორმა ჩვენი სულიერი ღტფლილებისა?

შეგვიძლიან ვიამაყოთ ჩვენი თეატრის კულტურით, როგორც უმაღლეს კულტურით ჩვენი ერისა? მთელი ჩვენი ისტორია ტრაგედიაა პატარა საქართველოსი. ქართველი მხლელად შვილია ტრაგედიისა. შერე შექმნა ქართულმა თეატრმა ისეთი დრამა, რომელიც ქართველ ხალხის მისტერიად უნდა ქცეულიყო?...

არა და არა. ქართულმა დრამა-თეატრმა ვერ ვხვავა ქართველი, ქართულმა თეატრმა ვერ ვხვავა ქართველთა სულის გრვენივის ხმა, ვერ შემოსა იგი საკუთარ ფორმებში და ამიტომ იგი არ არის ქართული, ნამდვილი ქართული მხატვრული თეატრი.

**ალექსანდრე ახმეტელი**  
(დასასრული იქნება)

**ვერ ვიდღესასწაულებ!**

სხვას მოგვლადი, სხვას, უფრო დიადს, უფრო შესაფერს. აკაკის დღე იყო ეს შევლაფერს ამბობს. აკაკის სახელმა შესძრა მთელი საქართველო, მისმა სიკვდილმა შეაკავშირა მთელი ერი, თვით ერის სამბოლოდ იქმნა აღიარებული, და... მის „დაბადების დღეს, დაბაზია“ თითქმის სახსე იყოფა — ასე სწერდნენ გაზეთებში. დიად, თითქმის სახსე იყო, ისევე, როგორც საზოგადოდ ბენეფისს რომ გაუმართვენ ხელზე ჩვენს მორიგ მსახიობს. ეს „ოთიქმისი“ რომ არ ეოფილიყო, და თეატრის დაბაზიც გაჭედლია, მაინც არც ეს კმარდა აკაკის დღისთვის ბილეთები ერთი კვირით ადრე უნდა გაუდღულიყო, აკაკის დღისთვის სახაზინო თეატრის შესავალში ხალხი ზღვად უნდა შედედებულიყო. ეს ეკუთვნოდა მის სახელს, ამის მოითხოვდა სიდიადე დღესასწაულისა. ეს ვერ ვხახეთ. ეს გარეგნულად არც თუ „შიგნეული“ შეგვიძლიან თავ-მოწინებებისა სიდიდისი უფრო ცუდ შთაბეჭდილებას სტოკებდა ვიდრე უხალხობა. ისეთი რამ უღიანობობა გვაჩვენებს სტენადან, რომ თვით ამ სახელს აღემატებოდა სხანახობა. რას წარმოადგენდა „ნათელა“, ვითომ სურათად დადგმული? კარიკატურას. რა დირსება ვქონდა? — არაფერი. და ამ საზოგადო უღაზათობას ის აგვირგვინებდა, რომ თვით მომქმედნი ვიბრნი,

გამზირთვებულნი გვირუბისა, მესამე პირით ესაუბრებოდნენ ერთი-მეორეს. საკუთარ სიტყვებს „ოა სურთაფენენ ბოლოს, თითქო სხვას ნათქვამს გადასტყვენ და არა საკუთარსა. „ამირანია ხომ საუცხოვო იყო, მხოლოდ არა დადებითად, არამედ უარყოფითი თვალსაზრისით ის სურათი ხელგუნების განამზილავება იყო და არა შთაბეჭდილების განამდიერებელი რამ. არც საკონტერტო განუოფილება ჩამარჩა სხვებს, და სურთო უღაზათობის საღაროში თავის წვლილიც შეიტანა. ნეტა რას იტყოდა აკაკი, რომ თვით მოესმინა, თუ როგორ ქართულ საღამოზე ახულებდებდნენ უცხო ორმანსებს“. უცხოს წინააღმდეგი არა ვარ, პირიქით, დიდი პატივისმცემელიც, მაგრამ უველას თავისი დრო გააჩნია. რაღაზე შეგებრდე? ჭო, გამართული იყო ეთნოგრაფიული საზოგადოება. სამწუხაროა, რომ ამ საზოგადოებას ვხვდა წილად ეს „ბედ-შავი“ დღე ეთნოგრაფიულ საზოგადოებას მეტი სიღარბისლე ეტირებოდა, მეტი სახის შენარჩუნება. ეთნოგრაფიულ საზოგადოებას საღამოსთვის თავისი ელფერი უნდა მიეცა.

მომავლისთვის მაინც გავასწოროთ ეს დღეის შეცდომა. მანამ კი გვახსოვდეს, რომ აკაკის დიდი დღე ვერ ვიდღესასწაულებთ.

— ლი

**ქართული სახიობა**

**საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გამართული საღამო** ქართველთა მამულიან სასარგებლოდ მართლაც კარგი იყო. თითქმის ნიშნად დიდი პატივცემისა მამულიან ძმებისადმი, ქართველმა საზოგადოებამ მოიკრიბა ძალ დონე, გამართა საღამო და შინაარსიანობით გააჭყო ჩვეულებრივ საღამოთა რიგიდან. ჩვენ ვხახეთ სტენაზე ღამაზი ნაკვთი ქართველი ხალხის სიბრძნისა „პირამზე“, რომელიც მართლაც ღამაზად იყო დადგმული. ახლ ერთი მომქმედი პირი არ არღვევდა სურათის შთაღიანობას. უველ ჩაქსოვებოდა ამ ლეკენდის გულს, უველ განიდდიდა ამ ლეკენდის სიღრმეს,

და მიტომაც ვეკლა შეთანხმებულად ჰქმნიდნენ სურათს. ხალხი ვეკლა ამას აძლიერებდა ქანტიმილეული რამ ჰანგი, წერად ზოლად გავლენიანი, რომელიც ვით სკეკეთი სკრის ჩვენი გრძობის ნიადგს, რომ დრმად ჩაიყაროს უნიბმსეა-ში გაბეული ხალხის სიბრძნის მარცვლები. შესაფერია ეს ჰანგი. სდა ლეგენდა, ვით სდა ხალხის გული, და სდა ჰანგიც თანამგზავრობის უბრადო ლერწამიდან ამონაკვსისი. უბესალამ და ეთერი“ს შირველამ სურათმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. ქართული სული შიგ ტრცხლად ამტყუელებული წყნარად არხეგს ჩვენს გრძობას, და სიამოვნების ალით გვიღებებს სხეს. ხალხი ამ სიამოვნებას ის აძლიერებს, რომ ეს შირველი ცდა, შირველი ნაბიჯი, ჩვენ განხლებსე მშეტეული. მამქმენი შირნიც მოხდენილად ასრულებდნენ რალს, მაგრამ ერთი ნაკლი სდეგდა ეთერის გარტობას. ჩვენ ვიცით ეთერი მწეშისი ქალი, და ჩცმულობაც მას მწეშისის უნდა ჰქონდეს. აქ კი თუმც იეს-შიშველი იყო (არა სხესებით კი), თუმც დატეკილი კაბაც ეცვ, მაგრამ ისეთი უკონსაჟია ჰქონდა შემოქმეული, რომ მართლა კარგი. ეს კი დისონანსად ეტრებოდა სურათს და უკარგავდა სილამსეს.

საკონცერტო განყოფილება ევ პრიუნელის ხელმძღვანელობით ბუერს მოიკება, რომ ზედ-მეტად არ ეკლანსურებინათ. ღამისად იყო შესრულებული ვეკლა ნამერი. მაგრამ ერთფეროვნება სწრდილკდა. სკერთად კი უნდა ითქვას, რომ სდამო კარგი იყო და შინარსიანი.

ნეტავ რად დასჭირდა ქართულ სასოციალურებს, ქართულ სდამასე, ქართულ სასოციალურებაში რუსულ პროგრამის გამოშვებება? მიზანი არ ვიცო და ვურც მახეცი გავიგე.

იქნებ შენ იცა, შეითხველთ?

**ვა—ლი**

**ვალ. გუნიას დანაბ ტ.** აბაშიძის, ეფ. გეხის და კ. ყიფიანის მონაწილეობით ს. ხ. სხლში ოქტ. 15 ივნისს, წარმოადგინა „ლალატი“. ხალხი ბლოვად დაესწრო. წარმოდგენა თოქმის ცხრა საათზე დაიწყო და 12 1/2 გათადა.

**დ. ხაშური ნ. სინარულიძის სადღეგანაშალო სადამო.** ხაშური-გომის ქართ. დრამ. წრის გამ-

გობამ და ამავე წრის სცენის მოყვარეთა კორპორაციამ გაუმართა ნ. ივნისს 3 განყოფილებად: 1) მოსალოცი ადრესები და საჩუქრები სხვა და სხვა დაწესებულებათა და პირთავან; 2) წარმოდგენა და 3) კონცერტი.

ითამაშეს: „კაცა პირველი და უკანასკნელი“. ვად. ს. ტარუაშვილის მიერ; „ოინბაზი“ ა. ცაგარლისა, „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“ დ. აწყურელისა და „მონადირე“ ვ. გუნიასი.

ბ. სინარულიძემ კომედიების ყველა ტიპები ზედ მიწვევით განსახიერა და დამსწრე საზოგადოება პირდაპირ ალტაცებაში მოიყვანა. დარბაზში შეუწყვეტელი სიცილი იყო. მობენფისის მიართვის მრავალი ადრესი და საჩუქრები. მიულოცეს დეპეშებით სხვა და სხვა ადგილებიდან, სხვადასხვა ჯგუფებმა და ამხანაგებმა.

ხსენებული საღამო იშვიათ სურათს წარმოადგენდა; მადლიერი საზოგადოება და მადლიერი ამხანაგები გულწრფელად დღესასწაულობდნენ თავის საყვარელ მოღვაწის ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომის დასაფასებლად გამართულ საღამოს. **სტ. ნოვაძე**

**სად. აჯიკაბულის თეატრში** ოთხშაბათს, 20 მაისს, ადგილობრივ სცენის მოყვარებმა წარმოადგინეს ვოდვეილები: „ხოლვერობა“—გუნიასი და „უბედური დღე“—ბლანჩივაცისა. პირველ ვოდვეილი შეთანხმებით წარმოადგინეს ივ. გაჩეილაძემ (იორამ რეტიანი); ივ. ჩხიკვაძემ (შაშლამიანი), ქ. ელიოზოშვილისამ (მაქთალა), კ. კორძაიამ (ქრისტეფორე), სულავერიძემ (თათარი) და ლინიაშვილმა (მოსიკო), თუმცა უკანასკნელი ცოტა გაურკვევლად ლაპარაკობდა... მეორე პიესაში საუბროვონი იყვნენ: ქ. გაჩეილაძისა (მატრონა), ბ. აბაშიძე (ყოზო), გაჩეილაძე (ვარდენი) და პიპინაშვილი (გოგია). უკანასკნელი უფრო მშვენიერი იქნებოდა, რომ საზოგადოების გაციენება უადგილოდ სიტყვების ჩამატებითა და მცირე შარკით არ მოესურვებანა...

საზოგადოდ აქაური ძალები საკმარისი არიან პატარ-პატარა სერიოზული პიესების დასადგმელად და კარგს იზმენ, თუ უკეთეს რეპერტუარს შეიმუშავებენ.

**გომკეთი**

**მუსულმანთა აუდიტორიაში** 9 ივნისს წარმოადგინეს „ქრისტიანე“. პიესაში მონაწილეობდნენ შემთხვევითი შეკრებილნი, რომელთაც არ იყოდენ, ვის და რას თამაშობდნენ, რის გამო პიესამ სუსტად ჩაიარა. მხატვრულ მხარეზე ლაპარაკიც ხომ მეტია, რეჟისორად ბ. ჟივიცე იყო გამოცხადებული, მაგრამ იგი არავის უნახავს. პიესა გამამხარავეს.

ამავე აუდიტორიაში 24 მაისს „თბილისის სცენის მოყვარეთ“ უნდა წარმოედგინათ „ყაჩაღი არსენა“. ბილეთები ხელზე ჰქონდათ გაყიდული, ხალხი მივიდა, მაგრამ თეატრის კარები გამოკეტილი დახვდით: ხალხი ილანძლებოდა ფულს უკან თხოულობდა, მაგრამ პასუხის მიმცემი არავინ იყო. ასევე მოატყუეს ხალხი



7 ივნისს. თეატრის მეტხორცი რომ ხალხის მოტყუებაზე ხელს აიღებდენ—უჯობთ. ნეტა ხარფუხის წრის გამგეობა რატო ყურადღებას არ აქცევს?

**ყანდაურელი**

**სოფ. ლინაურში** (გურია) 6 მაისს, ადგილობრივ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზ-ის თაოსნობით ორკლასიან საწავლებლის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა. საბაშვილმა მოხდენით წაიკითხა შინაარსიანი რეფერატი „აკაკი ჩაგრულთ მოსარჩლე“. რეფერანტი ხალხმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა... შემდეგ წარმოადგინეს „ბატონი და ყმა“, დრ. პ მოქ. შალვა დადიანისა. ვლ. გიორგაძემ საუცხოვოდ განასახიერა გაბროს ტანჯვა-ვაება, კარგი იყო ან. შილაკაძე გაიძვერა გიტოს როლში... პეპიას სულსიკვეთება საუცხოვოდ დაგვიხატა მ. საბაშვილმა, უკეთესი იქნებოდა როლი რომ სცოდნოდა... ზ. ურუშ ძისაგან (ბიძინა) მეტს მოველოდით, სუსტობდა კ. ჩხატარაიშვილი (თამარიკო). ქ-ნი ჭელიძე საშუალოდ ასრულებდა თამარის როლს. დასასრულ წარმოადგინეს ვოდ. „მოდურჩხულია“, დ. მესხისა. აქ ზ. ურუშაძემ (სიკოია) ბევრი აცინა საზოგადოება... დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდენ.

დიდათ ნასიამოვნები საზოგადოება დამის ორ საათზე დაიშალა... ერთი ნაკლი მუდამ თან სდევს სოფლის წარმოდგენებს: გაყიდიან ზედმეტ ბილეთს, მოდიხარ, და დასაჯდომ ადგილს კი არა, ფეხზე დასადგომსაც ვერ იშოვით; სწორედ ასე იყო ამ საღამოსაც, თითქმის ნახევარზე მეტი ფეხზე იდგა. როცა გამგეს შევეკითხე—რატომ არის მეთქი ესა? მიპასუხა: რა ვქნათ, ხალხს ხომ ვერ გავაწბილებდითო. სასურველია ზედმეტი ბილეთები არ ჰყიდონ ხოლმე და ხალხი შეწუხებისგინ დაიფარონ.

**პახტანში**



**წ ვ რ ი ლ ი ა მ გ ე ბ ი**

➤ **ვასო აბაშიძე გორში** წარმოდგენის შემდეგ მძიმე ავადმყოფი შეიქმნა. ის-ის იყო გაათავა როლი (13 ივნისს „ლალატში“, ბესო), რომ უცებ მუხლები მოეკვეთა, სახე მოეღრიაჯა. ამხანაგებმა სწრაფი მოიწვიეს ექიმი წინამძღვრიშვილი, რომელმაც სწრაფი დახმარება აღმოუჩინა. ავადმყოფი „კავკას“-ის სასტუმ. მოთავსეს. 18 ივნისს თბილისს ჩამოიყვანეს.

➤ **ავადმყოფ მსახიობს ვ. აბაშიძეს** ქარ. დრამ საზ. გამგეობამ სწრაფად გაუგზავნა სახარჯო ფული 100 მან.

➤ **ალ. ფრონელი სწავის** ვრცელ გამოკვლევას ატარებდა შესახებ.

➤ **მსახიობ კლ. კორიშელის** თაოსნობით ამ ზაფხულს კახეთში (თელავში და სხ.) ქართ. ცნობილ მსახიობთა დასი წარმოდგენებს გამართა ესამ

დასშივე იქნება ნინო ჩხვიძე, რომელიც პირველად ესტუმრება კახეთს.

➤ **შალვა დადიანი** მომავალი სეზონისთვის ისევ ბაქოს დრამ. წრემ მიიწვია რეჟისორად. მსახიობი ამ ეამად ქიზიყშია (ბაკურციხეში) და სხვადასხვა ნაწარმოებთა სწერს.

➤ **ღამფვარ თეატრისა და აბაქაძეების სასარგებლოდ** ბაკურციხეში 6 ივნისისთვის განძრახული წარმოდგენა დიდი წვიმების გამო 20 ივნისისთვის გადაიდო თუ მაინც წვიმა მოვიდა, წარმოდგენის ნაცვლად ცეკვა-ვანშიში გაიმართება.

➤ **ბაქოს დრ. წრემ** გადასწკიცია, მომავალი სეზონისთვის დასი მოიწვიოს. როგორც ისმის, წ. კ. ბაქოს განყოფილებას 1,000 მან. შემწეობა აღუთქვავს.

➤ **გგოსანი ი. გრიშაშვილი** ამ ეამად კისლოვოსკაშია და ცნობილ ქველმოქმედ ელიაძის მზრუნველობით უცხო ენებსა და სხვა საგნებს სწავლობს

➤ **შხსდგა ქართველ დამსახურებულ** მსახიობთა ამხანაგობა დრო-გამოშვებით წარმოდგენების სამართავად გორსა და თბილისში. დასში ირიცხებიან ვ. აბაშიძე, ვ. გურია, კ. ყიფიანი და სხ.

— **სანდრო კავსაძემ** თბილისში შემდგარ გუნდს აურჩია მორიგი ლოტბრები და აღუთქვა—ახალ-ახალი სიმღერები გამოუგზავნოს გუნდს შესასწავლად, ხოლო როცა გუნდი კონცერტს გამართავს, თვითონ ს. კავსაძე ულოტბარებს ხოლმე. ამითი თბილისში ახალი ეროვნული გუნდი გვემატება.

➤ **მომავალ-მგალოგალი ნიკო კავსაძე,** რომელმაც 3 ივნისს სახალხო სახლში კონცერტი გამართა, ფიქრობს ასეთივე კონცერტი გამართოს გორსა, მიხაილოვსა და სხ.

➤ **ზესტაფონში აპაკის საღამო** დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. საღამოში მონაწილეობდა ქუთ. ქართ. მსახიობთა ამხანაგობა.

➤ **ჰვირილის ღამფვარ თეატრის** განახლებას წ. კ. გ. ს. ზესტაფონის განყოფილების თაოსნობით, როგორც ისმის, ამის გათავების შემდეგ შეუდგებიან.

➤ **ალ. იმედაშვილი** საგასტროლოდ გაიწვიეს ზესტაფონს „უპატრონონი არ იბადებიან“-ში მონაწილეობის მისაღებად.

➤ **ნიკო გოციჩიძე,** სახალხო თეატრის მოღვაწე, რომელიც ამას წინად მძიმედ ავად იყო, უკვე მომჯობინდა და ლოგინიდან ადგა.

➤ **მსახიობი მამულაიშვილი** აეადა.

➤ **დრამატ. ნ. შიუპაშვილის** პიესა „მთის ზღაპარი“ ქუთ. „ახალ მოამბე“-ში დაიბეჭდება.

➤ **ივანე როსტომაშვილმა** დასწერა პიესა „ქართლოსი ანუ ქართველთ დასაბამი“, დრ. ვ მოქ. პიესაში აღწერილია ქართველთა მამამთავრის

ხანა. მომქმედნი პირნი: თარგამოსი, ქართლოსი, მცხეთოს, თინამხე, კელა და სხ.

— აჭარლების სასარგებლოდ ხარფუხის კლუბი ამ მოკლე ხანში გამართავს სელაშოს.

— ხარფუხის კლუბის მამსახლისთა საბჭო ეოველი დონისძიებით ცდილობს, თავის წევრთ განიერული გასართობნი გაუქმროს. განზრახულია მოაწიონ კონცერტები, წარმოდგები, სელაშოები და სხ გამართა როტანდა სტენითურ და ბადი, ელექტრონით განათებული. ქართული წარმოდგენების სამართავად მიწვეული არიან ვ. აბაშიძე, ვ. გუნია და სხ.

◆ „თეატრი და ცნობრება“ — აჭარელთა ნომერი გამოვა შაბათს.

◆ სო.ზ. ძარკალოვი ადგილობრივ ინტელიგენციის თაოსნობით შაბათს, 13 ივნისს, იასონ ყიფიანის სახლში გაიმართა აჭარლების საღამო-წარმოდგენით, რასაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. შემოსავალი აჭარლებს გადაეცემა

◆ დ. ხაშურში 9 ივნისს ხაშურის ქართ. დრამ. წრემ გამართა აკაკის საღამო-წარმოდგენით, სამის განყოფილებით: 1) წარმოდგენა, 2) დივერტისმენტი და 3) ცეკვა. ხალხი საშუალოდ დაესწრო.

◆ პ.ო.ზ. ნ. მარტი პეტროგრადიდან თბილისი ჩამოვიდა. 16 ივნისს ანს წავიდა აქეოლოგიურ გამოკვლევათათვის.

◆ სოლ. ძრ. კიპრიჯოვა „განათლების“ საზოგადოებას შესწირა სამ-სართულიანი (40 ოთახიანი) სახლი, ღირებული 30,000 მან. ამ ქველმოქმედის სურათს შემდეგ ნომერში დავებუქდავთ.

◆ თეატრის ასახვა ზონდის გასაძლიერებლად „ახალმა კლუბმა“ გ. გქელიშვილის რჩევით ამაღ წინად დაადგინა, კლუბში შესასვლელს, კერძა და სასმელს თითო შაური წაუშატოს. ამგვარი წანამტით დღიურად შემოდის 20<sup>1</sup>/<sub>2</sub>—25 მან., დღემდე შეგროვილა და ბანკში შეუტანიათ 1300 მანათამდის. იმავე გ. გქელიშვილს განუზრახავს, თეატრის ფონდისვე სასარგებლოდ დამწვარ თეატრთან საჩიე და სხვადასხვა სასმელ წყლების სავაჭრო მოაწყოს.

◆ ძმ. ზუბალაშვილების რწმუნებულმა ქ. თბილისის გამგეობას განუცხადა, ჩაიბარეთ ზუბალაშვილის მიერ შესყიდული პერკოვისეული სახლი, სახალხო სახლის გასაფართოებლად.

◆ მომღერალი ვანო სარაჯიშვილი სასაფუხელოდ „ახალ კლუბში“ მიიწვიეს.

◆ მხატვარი ვ სიღამონ-ერისთავი, რომელმაც მოსკოვის უმაღლესი სამხატვრო

სასწავლებელი დაასრულა, თბილისს ჩამოვიდა. იგი აკადემიაში დასტავეს სამხატვრო-სამეცნიერო ხარისხის მისაღებად.

◆ ძ. შ. წ. ძ. გ. ს. სასარგებლოდ სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრიტ გაიმართება კვირას, 21 ივნისს, „ახალი კლუბის“ ბაღში. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევს 3 ს.

◆ ქართველ ქალთა სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოში არჩეულია კნ მ. ვ. ჯამბაყურ ორბელიანისა, კნ. ე. მ. ერისთავისა, კნ. ნ. ე. ქაბულაშვილისა და ა. ა. დაფქვიასვილი. მეხუთე წევრს თვითონ არჩევენ.

◆ ბაქოს ნავთის მრეწველთა საზოგადოებამ 5000 მან. გადასდო „ქართ. საქვ. საზოგადოებას“ თაოსნობით აჭარაში ქსენონის დასაარსებლად.

◆ აჭარელთა სასარგებლოდ გამართულ სელაშოს შემოსავალი ორას თუმანზე მეტია.

◆ მ. ჯანაშვილმა შეადგინა ახალი შრომა „ქართული მწერლობა“, შინ და სკოლაში სახმარებელი, სამ წიკნად. | წიკნი შეიცავს ჩუენი ძველი მწერლობის ისტორიულ-ბიოგრაფიულ ცნობებს, დაახ. 300 გვ., ტექსტებით-600 გვ. (ეს ნაწილი უკვე იბეჭდება), ს. წიკ. შეიცავს XII-XVII ს., ხოლო III-XVIII-XX ს. მწერლობის მიმოხილვას.

◆ ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა წმ. ნინოს ღაზარეთში მოათავსეს.

შემოწირულება

◆ ლუკა ქოქრაშვილმა აჭარლებს სასარგებლოდ შესწირა 10 მ.

უცხოთა შორის

◆ იტალიის თეატრის მოღვაწეებმა ელენორა დუზეს თაოსნობით რამდენიმე ღაზარეთი გამართეს ომში დაჭრილთათვის.

◆ ელეონორა დუზემ დიდი ქველმოქმედება გამოიჩინა და, როგორც ვიცით, მსახიობთა თავშესაფარიც დააფუძნა.

მ წ ი გ ნ ო ბ რ ო ბ ა

◆ სამაჰმადიანო საპარტიოლო, — წერილები ნ. მარტის, ილ. ქავკავაძისა და პ. უმიკაშვილის, თბილისის ქართველ სტუდენტების გამოცემა, ფრიად საყურადღებო წიგნაკია და სასურველია გავრცელდეს არა მხოლოდ მაღალს ინტელიგენციაში, - ხალხშიაც. წიგნაკი შეიცავს 46 გვ. ღირს 20 კ. მთელი შემოსავალი აჭარლების სასარგებლოდ გადაიდება.

წელიწადი  
მესამე

მეოთხედიანი ხელმოწევა 1915 წ.  
ყოველკვირეულ სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

წლიურად 5 მ.  
ნახევარი  
წლით 3 მან.

# „თეატრი და ცხოვრება“-ზე

იუმორისტულ განყოფილებით და შარუებით

„თეატრი და ცხოვრება“ ყოველგვარ ჯგუფურ-დასურ მიმართულების გარეშე ჟურნალი უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს სცენის, სიტყვა-კაზმულ მწერლობის, მუსიკის, ქანდაკების, სამხატვრო-სახელოვნო და საზოგადოებრივ მოვლენათა გარკვევას. ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა.

**შ ა ს ი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., 1 თვ. 40 თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

**ელმოწერა მიიღება:** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში. „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—აღ. ქაქამიასთან, ქუთაისში თ. მთავრიშვილის წიგნთ სავაჭროში ს. ეპიტაშვილთან

**მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ. განცხადების ფასი:** 1 ევ. ორიგენით, 2, გვ. კორპუსის პყკარი ერთ სვეტზე 25 კ. 3-ზე—20 კ., 4-ზე—15 კ. ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

ახლახან გაიხსნა

## ა ფ თ ი ა ქ ი

პროფიზორის ა.ს. ახვლედიანისა  
(სამხედრო ქუჩისა და გოლოვინის პროსპექტის კუთხე)

მეოთხედიანი ხელის მოწევა 1915 წ.

ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი

### „სახალხო ფურცელი“

(კვირაობით) სურათებიანი დამატებით (კვირაობით)

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ.

ცალკე № შაურად, დამატებიანი 7 კ.

**ხელის მოწერა მიიღება:** „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მალაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. „Сахалхо Пурцели“, почт. ящ. № 190.

ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული გამოცემა

### სამაჰის გამოცემა

ქურონის სამხატვრო და სალიტერატურო შხარეს განაგებენ ეშხაკი და თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

**თანამშრომლები:** ალბერტინი, ბლიკესე, კუმი, კუმი, თაგუნა, კენტი, კეიხანი, კოლო, მთრელო, ნაფუცოდანსონი, იოსელი, ზიტა, ფიბ-ტეფო, შ. ქიქოძე, შუმრდინგი, ჭაყუელი, სუმარა და სხვ. ჟურნალის ფასი—1 წლით 5 მ., 6 თვით 3 მან. 3 თვით 1 მ. 50 კაპ.

„ახალ მათრახში“ დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, მარალები, გამოცანები, ნაკვებები და სხ.

ქუბ. დაიბეჭდება სურათებისა ომის ილიუსტრაციები.  
რედაქცია სოხუმს ყველა თანამშრომლებს მასალები გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, С.П. Тавартиლაძე Баронская 15, почт. ящ. № 190 (კუბიას მთრახისთვის)

ახალი გაეოცება  
 ვეფლასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

# უსხო სიძუპათა

---

# სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორე შეესებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე. მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქოვილ-მოვარაყებულ ასო ბრწივებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით პირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის შემს.)

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. „გეგრი და ცხოვრების“ რედაქციაში „სორაპანი“-ს სტამბაში). ფოსტით: თბილისი. რედ. „Театри да Цховრება“ Иос. Имедашвили.

<p>თევზის მრეწველნი</p> <p><b>კმ.</b></p> <p><b>კეგველოვები</b></p> <p>პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ. № 9</p> <p>ტელეფონი № 71-2.</p>	<p><b>განყოფილება</b></p> <p>ავლაბარში</p> <p>ფოსტის განყოფილების ძველ საკუთარ სახლში</p> <p><b>იყიდება</b></p> <p>იმავე ხარისხის</p> <p><b>საქონელი</b></p> <p>როგორც პუშკინის ქუჩაზე</p>
---	--

ქუთაისში

ბათუმის პროსპ. 104/11

თბილისში

**ნომრები „პროკრა“**

ახლად შეკეთებულნი, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოები (დუში და ვანა).

თბილისი, მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)